05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	25,0	25,0	26,5	28,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1916,5	1629,3	1739,4	1853,9
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	884,4	996,6	1089,7	1198,7

05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	430,0	465,0	482,0	487,5
05 02 03	საბავშვო სამხატვრო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	167,7	167,7	167,7	167,7
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	434,4	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	47,6	47,6	47,6	47,6
05 04	მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასფლოების მოვლა-პატრონობის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	50,0	50,0	50,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	50,0	50,0	50,0	50,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 01		656,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტით დაინტერესებული მოსახლეობის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა: სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება; სპორტის ინდუსტრიის განვითარება. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ ახორციელებს სწავლებებს სპორტის შემდეგი მიმართულებებით: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, კრივი, რაგბი, ჭადრაკი, კარატე-დო, კალათბურთი, ძიუდო, ტაეკვანდო, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, სამბო.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. სპორტული ცენტრის ფუნქციონირება შეუფერხებლად. ყველა მსურველის დაკმაყოფილებულება ცენტრის მომსახურებით. მოზარდებისათვის ხელმისაწვდომობა სპორტული წრეებით სარგებლობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 02		395,0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი“
პროგრამის მიზანი და აღწერა	ბავშთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორსმენების მომზადება ნაკრები გუნდებისათვის თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა (2023-2026) წწ. პროგრამის /ქვეპროგრამის დასაბუთება, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება. ბავშთა რაოდენობის გაზრდა, მწვრთნელთა მომზადება, ტრენინგის გავლა და ლიცენზიის კატეგორიების მოპოვებისათვის. შემუშავება პროგრამის, რომელიც ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას. პროგრამის /ქვეპროგრამის აღწერა - ასაკობრივი ჯგუფები, მოსამზადებელი ჯგუფები, გუნდი „ერისი“-ს დაკომპლექტება, განვითარება, ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის მომზადება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ჯანმრთელი ცხოვრების წესი ქართული ფეხბურთის განვითარება და გამორჩეული ბავშვების მიწოდება საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, საფეხბურთო კლუბი „ერისი“-ს დაკომპლექტება ადგილობრივი აღსაზრდელებით. შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები - საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელთა გუნდი „ერისისა“ და ასაკობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის შედეგად დაკავებული ადგილები. საანგარიშო პერიოდში ბავშთა დაინტერესება და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში ფეხბურთის განვითარებისათვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 03		25,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამა მოიცავს:</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე მოყვარული სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი ჯილდოებითა და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>საანგარიშო წლის მანძილზე წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით; წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება,</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, მოყვარულთა ფეხბურთის ლიგისა, მასტერ ლიგისა და ევროპის სპორტული კვირეულის სენაკის მუნიციპალური თამაშების ჩატარება-ორგანიზება და გამარჯვებულებისათვის რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე ტრანსპორტირებაში და ფორმებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა. სენაკში საცხენოსნო სპორტის ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოყვარული, ვეტერანი, თუ მოქმედი სპორტსმენის წახალისება. და ეროვნული ცნობიერების ამაღლება, განვითარების ახალ ეტაპზე გადავა სენაკის საცხენოსნო სპორტი;		

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ჩატარდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2023წლის დაფინანსება (ათას ლარში)
პროგრამის განმახორციელებელი	05 02 01		884,4
პროგრამის მიზანი და აღწერა		<p>პროგრამის მიზანია სენაკისა და მის ადმინისტრაციულ ერთეულებში მაცხოვრებელი მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა, განვითარება და მთლიანად მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ზოგადად მოსახლეობის ესთეტიკურ-კულტურული დონის განვითარების მიზნით აღნიშნულ ცენტრში ფუნქციონირებენ ხალხური და საესტრადო ცეკვებისა და სიმღერის ანსამბლები, ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“, წრეები-საესტრადო საკრავების მხატვრული კითხვის. აგრეთვე ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“.</p> <p>ცენტრში ფუნქციონირებს 1 საჯარო და სენაკის სხვადასხვა სოფლებში განლაგებული 14 ბიბლიოთეკა. სულ დღეის მდგომარეობით წიგნადი ფონდის ღირებულებაა 353317,98 ლარი. ლარი. ბიბლიოთეკების უმრავლესობა საჭიროებს განახლებას, ახალ ტექნიკურ აღჭურვილობას. მიზანშეწონილია ბიბლიოთეკებში დაინერგოს ელექტრონული სისტემა. საჭიროა მოსახლეობაში ჩავატაროთ პროპაგანდა ელექტრონული სერვისების მომსახურების სიკეთეზე და ამით მივაღწიოთ მიზანს „მკითხველის დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება“. ცენტრის შემავალ ორგანიზაციებიდან ფუნქციონირებს ქალაქის 2 და სოფლის მუზეუმი 2. მუზეუმების ფონდების მოცულობა შეადგენს სულ 7398 ექსპონატს, მუზეუმებიც საჭიროებენ კეთილმოწყობას თანამედროვე სტანდარტებით. მიზანშეწონილია გადამზადდნენ მუზეუმის თანამშრომლები.</p> <p>2022-2023 სასწავლო წლისათვის განსახორციელებელი მომსახურების ნუსხა:</p> <p>მხატვრული კითხვის სექცია (უფასო); ეკოლოგიის (უფასო); საესტრადო საკრავების სწავლების სექცია (ფასიანი); სპორტული ცეკვების სწავლების სექცია (ფასიანი); ქართული ხალხური ცეკვის სწავლების სექცია(ფასიანი); საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია(ფასიანი); საბავშვო თეატრალური სკოლა-სტუდია (უფასო) ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“ (უფასო); ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“ (უფასო); ტურიზმის განვითარების სექცია (უფასო) წიგნის სიყვარულთა სექცია (უფასო) საესტრადო მუსიკალური ბენდი „აკუსტიკა“ (უფასო)</p> <p>თითოეულ ფასიან სექციაზე სწავლის ღირებულება უნდა შეადგენდეს 20 ლარს, ფასიანი წრეების ყოველთვიური გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებიან იმ ოჯახის მოზარდები და ახალგაზრდები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასს) ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას დაღუპული, უზოოუკვლოდ დაკარგული მებრძოლთა შვილები და ასევე ცენტრის თანამშრომელთა ოჯახის წევრები (შვილები, შვილიშვილები). დევნილებზე და შეზრდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმმ) გავრცელდება 50%-იანი შეღავათი.</p> <p>ერთ ოჯახიდან ორი ბენეფიციარის ერთ პედაგოგთან სიარულის შემთხვევაში მე-2 ბენეფიციარის ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განახევრდება (საფასური 50%),</p>	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		სრულიად სენაკისა და მისი თემების მაცხოვრებლების (მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩათვლით) ესთეტიკურ-კულტურული დონის ამაღლება, მათი ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ტრადიციების დაცვა და სხვა.	

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში</p>	<p>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)</p>
	<p>05 02 02</p>		<p>430,0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“</p>		
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>პროგრამის მიზანია „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია“, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირება, დასაქმებულთა საქმიანობის გარემოს გაუმჯობესება, ნიჭიერთა გამოვლენა და განვითარება, სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა, სახელოვნებო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. პროგრამა უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“-ს დაფინანსებას, რომლის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ცენტრის სუბსიდიური დაფინანსება და დანერგილია მშობელთა მხრიდან მოსწავლეთა თანადაფინანსების სისტემა. ამ პროგრამის გზით ხორციელდება ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია.</p> <p>სცენური ხელოვნების -ბავშვთა საბალეტო ჯგუფი, ხელოვნების საზაფხულო და საკვირაო სკოლები. სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ცენტრის სუბსიდიური დაფინანსება და დანერგილია მშობელთა მხრიდან მოსწავლეთა თანადაფინანსების სისტემა.ამ პროგრამის გზით განხორციელდება ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია.</p> <p>ცენტრი კოორდინაციას უწევს სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და ახალი ბენეფიციარების გამოვლენას და მათი მოთხოვნით დაკმაყოფილებას, აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებთან და მომიჯნავე სფეროებთან, ახორციელებს საკუთარი ინიციატივით ორგანიზებულ პროექტებს, მოწვევით ჩართულია ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ 60-ზე მეტ ღონისძიებაში. დასაქმებულია 41 ადამიანი, მ/შორის 31 პედაგოგი. მოქმედებს სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.ცენტრი ემსახურება 300-ზე მეტ მომხმარებელს. ცენტრში შემაჯავალი სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მიმდინარეობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კომუნიკაციურის უნარების გაძლიერება. მუსიკის, მხატვრობისა, ქორეოგრაფიის და ხელოვნების სხვა დარგებისადმი სიყვარულისა და ინტერესის გაღვივება, მსოფლიო და ქართულ ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და პოპულარიზაცია, საგნობრივი სწავლებით უნარის განვითარება. იმართება მისაღები, გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდები. სასწავლო პროცესში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები.სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო,ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტი) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხური საკრავთა ჯგუფები. სამუსიკო სკოლაში ჩარიცხულია 220 მოსწავლე. მშობელთა მონაწილეობის ღირებულება ერთი თვე შეადგენს:ა)საფორტეპიანო 25 ლარი,ბ)საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილება-ბაკალავრი პედაგოგისათვის -25 ლარი, პროფესიული განათლების პედაგოგისათვის-20 ლარი. ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტის სწავლება უფასო; გ) საგუნდო-25 ლარი; დ) საესტრადო-23 ლარი; ე)კლასიკური გიტარა- ბაკალავრი პედაგოგისათვის 25 ლარი, პროფესიული განათლების პედაგოგისათვის -20 ლარი ე)ქართული ხალხური საკრავები (ფანდური)-20 ლარი:</p> <p>სამხატვრო სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, გაკვეთილ-პლენერები, ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ძეგლწერა, კომპოზიცია. სკოლაში ჩარიცხულია 70-ზე მეტი მოსწავლე. ფასიანი მომსახურების ღირებულება ერთი თვე შეადგენს:</p> <p>ა) სამხატვრო სკოლა-10 ლარი;</p>		
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>შეუფერხებელად ფუნქციონირებენ სახელოვნებო-საგანმანათლებლო სკოლები და სასწავლო ჯგუფები ხელოვნების დარგების შესაბამისად.</p> <p>ცენტრი მონაწილეობს მუნიციპალიტეტში და ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ სახელოვნებო, საგანმანათლებლო, კულტურულ, შემოქმედებით აქტივობებში.</p> <p>ბენეფიციარები და პედაგოგები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით, ცენტრის ფუნქციონირებისთვის შექმნილია პერსონალის (მ/შორის დისტანციური საქმიანობისთვის) სამუშაო გარემო და პირობები.</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>კულტურული ღონისძიებების პროგრამა</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში ლარში</p>
	<p>05 02 04</p>		<p>167,7</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>		
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული თვითმყოფადობის გადრმავეების ხელშეწყობა და შემოქმედებითი პროცესების წარმართვა, კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა. სადღესასწაულო დღეების კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ადგილობრივ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების სადამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. კულტურული პროექტების დაფინანსება, კულტურის სფეროში მოღვაწე, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. მატერიალური და არამატერიალური (ეთნოგრაფიული მასალები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები) კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ რელიგიურ, ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ თუ სხვა ღირებულებათა აღრიცხვას, დაცვას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. შესაბამისი პროფილის საქართველოს სხვა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას; მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიზნით ამ პროფილის საგანმანათლებლო საქმიანობის, პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობას; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელებას. უფლებამოსილი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუზეუმო სისტემის განვითარების ხელშეწყობა, მისი მატერიალური უზრუნველყოფის ზედამხედველობას. მუნიციპალიტეტის მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვის ხელშეწყობას და პოპულარიზაციის, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფას. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარემოსთან ადაპტაცია, კონსერვაცია, რესტავრაცია: მოსწავლე-ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების შეცნობის მიზნით სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების პოპულარიზება; გამოჩენილ ღვაწმოსილ ადამიანებთან შეხვედრა და მათი ღვაწლის პოპულარიზება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობების თუ მასალების ამსახველი ბროშურების დამზადება.</p>		
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია საზოგადოების სხადასხვა ჯგუფებისთვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, აღდგენა განვითარება და პოპულარიზაცია; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაზიარდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია, მოსახლეობაში შეიქმნება პოზიტიური განწყობა, მოხდება ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, გაიზარდება მონაწილეთა ჩართულობა და გახდება მასობრივი, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა. უზრუნველყოფილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების შენარჩუნება, პოპულარიზებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში ლარში
	05 02 05		434,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის და მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	კმაყოფილი მოსახლეობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 03		47,6
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	ახალგაზრდობისათვის მოტივაციის ამაღლება, მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან, შშმ ახალგაზრდობის ჩართულობა, წახალისებული ახალგაზრდობის, შემეცნებით ხონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	05 05		100,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სენაკისა და ჩხოროწყის ეპარქიის განვითარებისათვის ხელშეწყობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რელიგიური ორგანიზაციების პირობების გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
----------------------	------	-------------------------------------	------------------------------------

	05 06	50,0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს საინფორმაციო ცენტრი	
პროგრამის მიზანი და აღწერა	ინფორმაციული უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა	

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	1989,0	1999,0	2009,0	2019,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	805,2	805,2	805,2	805,2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	259,2	259,2	259,2	259,2
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	480,0	480,0	480,0	480,0
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	60,0	60,0	60,0	60,0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	6,0	6,0	6,0	6,0
06 02	სოციალური დაცვა	1183,8	1193,8	1203,8	1213,8
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	370,0	370,0	370,0	370,0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	258,0	258,0	258,0	258,0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	60,0	70,0	80,0	90,0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	18,7	18,7	18,7	18,7
06 02 05	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	72,0	72,0	72,0	72,0
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	34,0	34,0	34,0	34,0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამა	25,0	25,0	25,0	25,0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	110,0	110,0	110,0	110,0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	54,0	54,0	54,0	54,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	60,0	60,0	60,0	60,0

06 02 12	დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება	8,0	8,0	8,0	8,0
06 02 13	პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება	36,7	36,7	36,7	36,7
06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება	77,4	77,4	77,4	77,4

ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- ეპიდზედამხედველობის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს; პირველადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას;
- იმუნიზაციის პროგრამას, რომელიც მოიცავს იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასზე ანგარიშგებას დადგენილი წესის მიხედვით; იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება; იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინულ ანალიზს, შეფასებას, დაზუსტებას; ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრას; ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის ლოჯისტიკაზე ზედამხედველობას; დამხმარე ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტში შემავალ პჯდ დაწესებულებებში.
- პარაზიტოლოგიის პროგრამა, რომელიც მოიცავს პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგულ კვლევას; მალარიის სკრინინგულ კვლევას კერებში და კერის გარშემო; მალარიის დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას.
- პროფილაქტიკური მედიცინა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას; საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 01		259,2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.დ)		

	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი. ე) პროფილაქტიკური აგრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის. ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა. ზ) "ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა). 2. მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 02		480,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის მიზანი აღწერა	და	<p>პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. დახმარებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები წელიწადში ერთხელ, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ონკოლოგიურ პაციენტებისა და 18 წლამდე მოზარდების შემთხვევაში.</p> <p>ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსება ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა</p> <p>ბ) სამკურნალო-სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. (თითოეული ბენეფიციარის შემთხვევაში წლიური ლიმიტი 1000 ლარი, 2000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის შემთხვევაში შესაძლებელია წლიური ლიმიტის ერთიანად გამოყენება)</p> <p>გ) მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების შემთხვევაში (მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია; კომპიუტერული ტომოგრაფია; პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, 18 წლამდე მოზარდებზე, შშმ პირებზე და ონკოლოგიურ პაციენტებზე. მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა.</p> <p>სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს</p>	

	<p>განცხადება: განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №100; ანგარიშფაქტურა; კალკულაცია; მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობის შესახებ (აუცილებლობას არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო დაწესებულების მიერ ანგარიშფაქტურაშივე განსაზღვრულია პაციენტის მიერ თანაგადასახდელი თანხა). შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე.</p> <p>გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარი ან მისი უფლებამოსილი პირი გაწერიდან 10 დღის ვადაში წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, შესრულებული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელ სამედიცინო ფორმა №100; ანგარიშფაქტურა; (კალკულაცია); მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან ბენეფიციარის დაფინანსების ოდენობის შესახებ; ცნობა ან სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან (ხელშეკრულება, შეთანხმება) გადასახდელი თანხის დავალიანების (გადავადების) თაობაზე.</p> <p>ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამა</p>	<p>2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>06 01 03</p>	<p>სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>60,0</p>
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ა)სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე. მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ 70 ლარის ფარგლებში.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100 და ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზიდან.</p> <p>ბ)სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 100 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საპენსიო ასაკის პირზე, რომელიც სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში ფიქსირდება მარტოხელად ან მარტო მცხოვრებად, მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ 70 ლარის ფარგლებში.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100; და ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.</p> <p>ბ)ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100;</p> <p>გ)თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100; და ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზიდან</p> <p>დ) შშმ პირებზე მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ 100 ლარის ფარგლებში;</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100 და სსე აქტის ამონაწერი.</p> <p>ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე და მათ შვილებზე მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ 100 ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; მოზარდის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100 და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.</p> <p>ვ)ვეტერანის სტატუსის მქონე პირთათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება სამ თვეში ერთხელ 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან; ფორმა N100; ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე. ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი საფთიქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე</p>		
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>		

პროგრამის დასახელება:	კოდი	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 01 04		6,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები. პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია 1050 მოზარდისათვის ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების პრევენციაზე. ჯანმრთელი მოზარდები		

მუხლი 18. სოციალური დაცვა

ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციისა და კრიზისზე დროული რეაგირებას, მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გამლიერების მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას, ოჯახური ძალადობის მსხვეპლთა დაცვას, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას, აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას. აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 01		370,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი“		
პროგრამის მიზანი და აღწერა	სოციალურად დაუცველი და მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის ყოფითი პირობების ხელშეწყობა, ა(ა)იპ „სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის“ სასადილო ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი		

	საკვებით-რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. ა(ა)იპ „სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრთან“ არსებული კომისიის დასკვნის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსარგებლე პირთა ჩანაცვლება და ცვლილებების შეტანა კვებით მოსარგებლეთა სიაში. მომსახურებით ისარგებლებენ მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, შშმ პირები და ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა უფასო კვებით მომსახურება

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 02		258.0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (4 და 4-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით; დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა (4 და 4-ზე მეტშვილიან 18 წლამდე ასაკის) ერთ-ერთმა მშობელმა (მეუღლემ, მზრუნველმა) მერიაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; მშობლის პირადობის მოწმობის (გარდაცვლილის შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობის) ასლები; მეურვის (მზრუნველის) შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული მეურვეობისა და მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მეურვის (მზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი; შვილების დაბადების მოწმობის ასლები;</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 100 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება-გაძლიერება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვზე ზრუნვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 03		60,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ა) დედ-მამით ობოლ ბავშვებზე (18 წლამდე) დახმარებას, კერძოდ, ყოველთვიურად ერთ ბავშვზე გაიცემა 200 ლარი (3 ბენეფიციარი) დახმარების მისაღებად დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ მერიაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები); ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს</p>		

	<p>მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრიდან მეურვის ვინაობის შესახებ; მეურვის პირადობის მოწმობის ასლი.</p> <p>ბ) იშვიათი დავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულზე ყოველთვიურად 150 ლარის გაცემას (7 ბენეფიციარი) დაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ფორმა N100 სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც მითითებულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენება.</p> <p>გ) ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა - ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, რომელმაც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ და არის მოლოდინის რეჟიმში მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვის ხელოვნური საკვების დაფინანსებას ერთ გაცემაზე არაუმეტეს 80 ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მისაღებად ოჯახის კანონიერ წარმომადგენლის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; ბავშვის დაბადების მოწმობა; მომართვა/ცნობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრიდან ბავშვთა ხელოვნური კვებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დარეგისტრირების თაობაზე. ანგარიშგაქტურა საფთხიჯო დაწესებულებიდან ხელოვნური საკვების მისაღებად; წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე.</p> <p>ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი საფთხიჯო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 04		18,7
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, კერძოდ; გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის და ომის ვეტერანის ოჯახზე დახმარების გაწევა 300 ლარით.</p> <p>სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად გარდაცვლილი დევნილის მოქალაქის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გარდაცვალების მოწმობის ასლი; გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ასლი; ასევე სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.</p>		

	სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; გარდაცვლილის ომის მონაწილის პლასტიკური ბარათის ქსეროასლი; ომის ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი; განმცხადებელი სპირადობის მოწმობის ასლი. ასევე სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და დევნილი ოჯახის წევრებს გაეწევათ მატერიალური დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
	06 02 05		72,0
პროგრამის განმახორციელებელი	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
